შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№30 (9.695)

22-29 აგვისტო 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

საკრებულოს წევრები ახალგაზრდა კოლეგებს შეხვდნენ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა სამუკაშვილი და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე აკაკი ნატროშვილი დედოფლისწყაროს ახალგაზრდული საკრებულოს წევრებს და არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ადამიანი, კანონი, თავისუფლება"-ს აღმასრულებელ დირექტორს, ნიკოლოზ მაღალდაძეს შეხვდნენ. საკრებულოს წარმომადგენლებმა ახალგაზრდა კოლეგებს კომისიების ფუნქციები და უფლებამოსილებები გააცნეს და ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმებიც მათთან ერთად დასახეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის უკეთ შესწავლის მიზნით, დედოფლისწყაროს ახალგაზრდული საკრებულოს წარმომადგენლები უფროს კოლეგებთან შეხვედრებს მომავალშიც აქტიურად გეგმავენ.

შეხვედრის დასასრულს, ნიკოლოზ მაღალდაძემ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელებს, წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს მომავალი თაობის მხარდაჭერისა და მათთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა.

სტიქიამ კახეთის რამდენიმე რაიონი დააზარალა

კახეთის რამდენიმე რაიონი სტიქიამ დააზარალა. განადგურებული მოსავალი, დახოცილი შინაური ფრინველი, დამტვრეული მანქანები - ასე გამოიყურებოდა კახეთის რამდენიმე სოფელი 21 აგვისტოს დილას.

20 აგვისტოს, გვიან საღამოს, ძლიერი სეტყვა მოვიდა ლაგოდეხის, ყვარლის და ახმეტის რაიონებში. წინასწარი მონაცემებით, ათზე მეტ სოფელში დაახლოებით 70—80%—ით არის განადგურებული ვენახები. ძლიერმა ქარმა საცხოვრებელ სახლებს სახურავები გადახადა. სტიქიის შედეგად მეწყერი ჩამოწვა თუშეთთან დამაკავშირებელ გზაზე, რის გამოც ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

ყვარლის რაიონში ყველაზე მეტად სოფელი სანავარდო დაზარალდა. სეტყვამ საცხოვრებელი სახლების სახურავები დაამტვრია. განადგურებულია ყურძნის მოსავალი. ზარალი დაახლოებით 80%—ს აღწევს. სოფელს არ მიეწოდება ელექტროენერგია.

ლაგოდეხის რაიონში ყველაზე მეტად ლელიანის და აფენის თემში შემავალი სოფლები დაზარალდა. დასეტყვილია ვენახები, ხეხილის ბაღები და დაზიანებულია საცხოვრებელი სახლების სახურავები. ცენტრალური გზის პირას დაგლეჯილია ხეები. მთელი ღამის განმავლობაში საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლები მუშაობდნენ ლაგოდეხის სოფლებში და დატბორილი საცხოვრებელი სახლებიდან წყალს ტუმბავდნენ.

სტიქია იყო პანკისის ხეობაშიც. სოფლებში დუისსა და ჯოყოლოში სეტყვამ ხეხილის ბაღები და ბოსტნეული დააზიანა.

კახეთის ენერგოდისტრიბუციის ინფორმაციით, სტიქიისგან გამოწვეული დაზიანებების გამო, ყვარლის რაიონში ელექტროენერგია არ მიეწოდება 7 ათასამდე აბონენტს, ლაგოდეხში კი სოფელ ვარდისუბანს.

სტიქიის გამო სახალხო დღესასწაული „თუშეთობა 2015", რომელიც თუშეთში, სოფელ ომალოში 22 აგვისტოს უნდა გამართულიყო, გაურკვეველი ვადით გადაიდო, რადგან, სტიქიისგან გამოწვეული დაზიანებების გამო თუშეთთან დამაკავშირებელ გზაზე ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს „თუშეთის გზის" დირექტორმა ომარ ლეკიშვილმა განუცხადა, ღვარცოფმა გზის 27—ე და 52 კილომეტრებზე, არ მისული თორღვას აბანომდე და უღელტეხილს იქით, ხოდარკოსთან გზის სავალი ნაწილი წაიღო.

სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიას განცხადებით, სტიქიამ კახეთის რეგიონში დაახლოებით 2 000 ჰექტარი ვენახი დააზიანა.

ამის შესახებ მინისტრმა ტელეკომპანია "იმედთან" საუბრისას განაცხადა. დანელია კახეთში იმყოფება და შექმნილ ვითარებას ადგილზე ეცნობა.

მისი თქმით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის ყველაფერს გააკეთებს.

"პირველადი ოპერატიული ინფორმაცია, რა თქმა უნდა, გვაქვს და ვფიქრობთ, რომ დაახლოებით 1 500-დან 2 000 ჰექტრამდე იქნება ის ტერიტორია,

(გაგრძელება გვ.3)

რთველისთვის მზადება დაიწყო

გვ.3

საჯარო სკოლებში სწავლა 14 სექტემბერს დაიწყება

გვ.2

დაბრუნება 73 წლის შემდეგ

გვ.6

4000-წლიანი ფოლკლორი და თინეიჯერი

გვ.4

C M Y K

აშშ საქართველოსთვის დამატებით 20 მილიონის დამხარების გამოყოფას გეგმავს

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთვის 2015 წელს დამატებით 20 მილიონი დოლარის ოდენობის დამხარების გამოყოფას გეგმავს. ამის შესახებ ინფორმაცია პენტაგონის ოფიციალურ ვებგვერდზე ვრცელდება. თანხა საქართველოს შეიარაღებული ძალების დახმარების მიზნით გამოიყოფა.

აღნიშნული საკითხი საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა და აშშ-ის თავდაცვის მდივანმა, ეშტონ კარტერმა პენტაგონში გუშინ გამართული შეხვედრის დროს განიხილეს.

"თავდაცვის მდივანმა კარტერმა თავდაცვის მინისტრ ხიდაშელს საქართველოს მიერ ავღანეთში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. კარტერმა ასევე აღნიშნა, რომ აშშ, თავის მოკავშირეებთან ერთად, საქართველოს მხარდამჭერი რჩება ნატო-საქართველოს კომისიის და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში, რომელიც 2014 წლის უელსის სამიტზე შეთანხმდა", - განაცხადა შეხვედრის შემდეგ პენტაგონის პრესს-პიკერმა, პიტერ კუკმა.

პენტაგონის ცნობით, ეშტონ კარტერმა და თინა ხიდაშელმა შეხვედრისას რეგიონული უსაფრთხოების საკითხების და აშშ-საქართველოს შორის არსებული კავშირების შესახებ იმსჯელეს.

ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი 27 აგვისტოს გაიხსნება

26-27 აგვისტოს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ნატო-ს გენერალური მდივანი იანს სტოლტენბერგი ეწვევა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნატო-ს გენერალური მდივნის რანგში ეს იენს სტოლტენბერგის პირველი ოფიციალური ვიზიტია საქართველოში.

ვიზიტის ფარგლებში ნატო-ს გენერალური მდივანი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან. გენერალური მდივანი პატივს მიაგებს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული მებრძოლების ხსოვნას და გვირგვინით შეამკობს გმირთა მემორიალს.

27 აგვისტოს კრწანისის სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე გაიმართება ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის ინაუგურაცია. გენერალური მდივანი შეხვდება საქართველოს შეიარაღებული ძალების ასეულს, რომელიც ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებისთვის გადამზადდა.

ოფიციალური შეხვედრების ფარგლებში განიხილება საქართველოს ნატო-ში განევრიანების პროცესთან დაკავშირებულ საკითხთა სრული სპექტრი და ამ მიმართულებით დაგეგმილი შემდგომი ნაბიჯები, უელსის სამიტზე მიღებული არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის მიმდინარეობა და ვარშავის 2016 წლის ნატო-ს სამიტისთვის მზადების პროცესი.

დევნილთა ეროვნულთვიურ შემწეობაზე უადაღა და საინკასო დავალება არ გავრცელდება

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, დღეიდან დევნილთა ყოველთვიურ შემწეობაზე ყადაღა და საინკასო დავალება არ გავრცელდება. შესაბამისი ცვლილება ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებაში შევიდა.

ცვლილების მიხედვით, შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება და საბანკო ანგარიშზე დადებული ყადაღა და საინკასო დავალება არ გაავრცელოს იმ საბანკო ანგარიშზე, სადაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები „სახელმწიფო პენსიის შესახებ", „სოციალური დახმარების შესახებ", „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შესაბამის პირთა ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფის მიზნით. ადრე მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული არ იყო ანგარიშები, სადაც დევნილთა შემწეობის თანხები ირიცხებოდა.

შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბანკო დაწესებულება ვალდებული ხდება საბანკო ანგარიშზე დადებული ყადაღა და საინკასო დავალება არ გაავრცელოს იმ საბანკო ანგარიშზე, სადაც სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები „სახელმწიფო პენსიის შესახებ", „სოციალური დახმარების შესახებ", „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შესაბამის პირთა ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფის მიზნით. ადრე მოქმედი რედაქციით ამ შემთხვევაშიც არ იყო გათვალისწინებული ანგარიშები სადაც დევნილთა შემწეობის თანხები ირიცხებოდა.

საჯარო სკოლებში სწავლა 14 სექტემბერს დაიწყება

საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლებში სწავლა 14 სექტემბერს დაიწყება, - ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

რაც შეეხება კერძო სკოლებს, ისინი სწავლის დაწყების თარიღს თავად განსაზღვრავენ. ლია გიგაურის ინფორმაციით, 2015-2016 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმის ადმინისტრაციულ ნაწილში შევიდა გარკვეული ცვლილებები. მათ შორის კერძო სკოლებისთვის სასწავლო კვირების მინიმალური რაოდენობა 34 კვირით განისაზღვრა. კერძო სკოლები თუ სწავლას გვიან დაიწყებენ სასწავლო წლის დამთავრება მათ საკმაოდ გვიან მოუწევთ.

დღეის მდგომარეობით, საჯარო და კერძო სკოლებში სულ დარეგისტრირებულია 46 660 მოსწავლე. განათლების სამინისტროს 820-მა მშობელმა მიმართა, რომელთაც შვილების დარეგისტრირება ვერ მოახერხეს, ანუ სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს პერიოდი გამორჩათ, ამიტომ 1 და 2 სექტემბერი პირველკლასელთა დამატებითი რეგისტრაციის ვადად განისაზღვრა.

კახეთის გუბერნატორის თქმით, ფშაველი-ომალოს გზის გაწმენდით სამუშაოებს კიდევ ორი დღე დასჭირდება

როგორც კახეთის გუბერნატორმა, ირაკლი შიოლაშვილმა განაცხადა, ამჟამად იგი იმყოფება სოფელ ომალოში, სადაც თუშეთთან დამაკავშირებელი გზა მთლიანად ჩახერგილია და ადგილზე ტექნიკა მუშაობს. მიმდინარეობს გზის გაწმენდითი სამუშაოები. "საგზაო სამსახურები აცხადებენ, რომ დღის ბოლოს შესაძლოა, მოძრაობა აღდგეს. თუმცა, ფიქრობს, რომ სამუშაოები საკმაოდ მოცულობითია და ამისათვის ორი დღე იქნება საჭირო. აქ სიტუაცია აბსოლუტურად სტაბილურია. ტურისტი, დამსვენებელი აქ ბევრია. მათ ნაწილს დღეს სურდა უკან

დაბრუნება, თუმცა ორი დღით გაუხანგრძლივდებათ დასვენება. საკვებისა და ელექტროენერგიის პრობლემები არ არის, იქედან გამომდინარე, რომ აქ ყველა სასტუმრო და ყველა ოჯახი მზის ბატარეებით არის აღჭურვილი. ყველა სახელმწიფო უწყებასთან მაქვს კონტაქტი. შევქმენით შტაბი. ყველა მიმდებარე სოფლები და სასტუმროების მფლობელები გაფრთხილებული არიან, რომ ომალოში გუბერნატორი იმყოფება და თუ რაიმე გაუჭირდებათ, მომმართონ", - დასძინა გუბერნატორმა.

მისივე თქმით, წუხელ მოსულმა ძლიერმა წვიმამ რამდენიმე ადგილზე ფერდობებიდან მიწის ჩამოშლა გამოიწვია. ამ მომენტისთვის მათთვის ორი ასეთი ადგილია ცნობილი - ე.წ აბანოებთან და "რეინჯერების სახლთან". "რეინჯერების სახლსა და ე.წ აბანოებს შორის კიდევ თუ არის მეწყრული უბნები, ჩვენთვის უცნობია. ორივე მხრიდან მუშაობს ტექნიკა. სანამ სამუშაოები არ დასრულდება, რთულია ვთქვათ, რამდენი ადგილია დაზიანებული", - დასძინა გუბერნატორმა.

მისივე თქმით, მან თუშეთის ყველა სოფელი შემოიარა. ჯერჯერობით პრობლემებით მას არავინ დაკავშირებია. ირაკლი შიოლაშვილმა ასევე მიმართა იმ დამსვენებელთა ახლობლებს, რომლებიც თუშეთში იმყოფებიან, შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, რადგან იქ მშვიდი გარემოა. მისივე თქმით, ადგილზე მხოლოდ "ჯეოსელის" გადამცემი ანძები მუშაობს. გუბერნატორმა ასევე დასძინა, რომ თუშეთობისთვის ემზადებოდნენ, რომელიც ხვალ უნდა ჩატარებულიყო. თუმცა, დღესასწაულის გამართვა ერთი კვირით გადაიდო, რათა ყველა მგზავრის უსაფრთხო გადაადგილება უზრუნველყოფილი იყოს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეხმაურება სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვასთან დაკავშირებით რიგი მედიასაშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც ჩრდილს აყენებს როგორც სამინისტროს მიერ განხორციელებულ „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამას", ასევე შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. სწორედ საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, სამინისტრო ასაჯაროებს ყველა იმ დეტალს, რაც 2015-2016 სასწავლო წლების სახელმძღვანელოების შესყიდვას უკავშირდება და აღნიშნავს, რომ წინა წლებთან შედარებით, სახელმძღვანელოებისა და რვეულების შეძენა წელს უპრეცენდენტოდ დაბალ ფასად ახდენს.

გამომცემლობა „დიოგენეს", „ინტელექტისა" და სხვა დაინტერესებულ პირებზე დაყრდნობით, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს სამინისტრო რიგი დასახელების სასკოლო სახელმძღვანელოების შესყიდვას მაღალ ფასად ახორციელებს, რის გამოც არამიზნობრივად იხარჯება სახელმწიფო თანხები. იმ შემთხვევაში კი, თუ სამინისტრო წიგნებს გამომცემლობებისგან ან მაღაზიაში შეიძენდა, მისი ფასი გაცილებით იაფი იქნებოდა. აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და ეყრდნობა ხელშეკრულებიდან ფრაგმენტულად ამოღებულ ინფორმაციას. იმავე მიდგომით, იმავე ხელშეკრულებიდან, იმავე გამომცემლობების სხვა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით ფრაგმენტულად ამოღებულ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, შემდეგ სურათს მივიღებთ:

მოცემული ცხრილის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ზემოთ ჩამოთვლილ სახელმძღვანელოებს ბეჭდავს 70,221.72 ლარად (საშუალოდ 1 ეგზემპლარის ღირებულება 1.81 ლარია)

წიგნის მაღაზიებში დაფიქსირებული მინიმალური ფასების შესაბამისად იმავე სახელმძღვანელოების იმავე რაოდენობის შეძენას სახელმწიფო შეძლებდა 309,959.5 ლარად (საშუალოდ 1 ეგზემპლარის ღირებულება 8,00 ლარია)

დასკვნა: ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, იმავე მიდგომით, იმავე ხელშეკრულებით, იმავე გამომცემლობების სხვა სახელმძღვანელოების შესყიდვისას დაზოგილი ბიუჯეტის რაოდენობა შეადგენს 239,737.78 ლარს.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ დარჩენილი სახელმძღვანელოების 95%-იც თითქმის ამ ფასად იბეჭდება. ზოგადად სწორია, როდესაც ხელშეკრულების მონაცემების ანალიზი სრულად კეთდება და არა ფრაგმენტულად. ამ სწორი მიდგომით კი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულებიდან გამომდინარე, გამარჯვებული კომპანიის მიერ განფასებული ერთეულისახელმძღვანელოს საშუალო ღირებულება 3.644 ლარი, ხოლო რვეულის 0.75 ლარია. აღნიშნულის შეფარდებითაც კი ერთეულის საშუალო ფასი როგორც სასკოლო სახელმძღვანელოსი ასევე, სავარჯიშო რვეულის ღირებულება გაცილებით მცირეა სასკოლო სახელმძღვანელოების გამავრცელებლებთან არსებულ საცალო ღირებულებასთან. ამასთან, ტენდერის პრინციპებიდან გამომდინარე, მომწოდებელი იმარჯვებს ჯამური ღირებულებით და არა საცალო ღირებულებით და თავად ტენდერში მონაწილე მომწოდებლები ახდენენ განფასებას სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სავარჯიშო რვეულების, თავიანთი შეხედულებისამებრ.

ასევე აღსანიშნავია, რომ გამომცემლობების - „დიოგენესა" და „ინტელექტის" მოთხოვნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ტენდერი განხორციელებულიყო ცალკეული წიგნების შესყიდვის მიხედვით, გაუმართლებელია, რადგან არსებული კანონმდებლობა ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

რაც შეეხება გამომცემლებსა და სამინისტროს შორის სასამართლო დავას, რაზეც გამომცემლები ასევე ხშირად აპელირებენ, სამინისტრო მიესალმება კანონის ფარგლებში ნებისმიერი საკითხის განხილვას. როგორც ცნობილია, გამომცემლობებმა სამინისტროს წინააღმდეგ სასამართლოს სარჩელით მიმართეს. ამ ეტაპზე, საკითხი ორი ინსტანციის სასამართლომ უკვე განიხილა, მაგრამ მათგან არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

გამომცემლობა „არტანუჯის", „ინტელექტის„ „ლოგოს პრესისა" და „დიოგენეს" წარმომადგენლები სასამართლოსგან მოითხოვდნენ უკანონოდ ეცნო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქმედება - გამომცემლების საკუთრებაში არსებული სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვა და გავრცელება. ამასთან, ბათილად ეცნო საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 აგვისტოს N1051 ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი და სამინისტროს დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება „არტანუჯის" სასარგებლოდ 3 845 399 ლარის, გამომცემლობა „ინტელექტის" სასარგებლოდ 13 005 083 ლარის, „ლოგოს პრესის" სასარგებლოდ 932 059 ლარისა და გამომცემლობა „დიოგენეს" სასარგებლოდ 4 911 472 ლარის ოდენობით.

დაბოლოს, სამინისტრო არ გამორიცხავს, რომ დეტალური განმარტების მიუხედავად, ბრლალდებები გაგრძელდეს თუმცა, სამინისტროსთვის მთავარი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა, რაც წინა წლებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა. ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფი ღონისძიებების განხორციელებისას კი, ერთ-ერთი მთავარი პრინციპი საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად ხარჯვა და საზოგადოების სწორი ინფორმირებაა.

რთველისთვის მზადება დაიწყო

2015 წლის რთველის საორგანიზაციო საკითხების განხილვის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი და სახელმწიფო რწმუნებული კახეთის რეგიონში ირაკლი შიოლაშვილი კახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ხელმძღვანელებს და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

მიმდინარე წელს შარშანდელთან შედარებით ყურძნის მოსავალი თითქმის 30%-ით მეტია. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მეზობელ ქვეყნებში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა და რეგიონში არსებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ, მსხვილ საექსპორტო ბაზრებზე ქართული ღვინის ექსპორტის შემცირება გამოიწვია, რამაც თავის მხრივ, ყურძენზე მოთხოვნის შემცირება განაპირობა. შესაბამისად, დარგის განვითარების დადებითი დინამიკის შენარჩუნებისა და მევენახეების ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, წელს კვლავ მოხდება როგორც თეთრი, ისე წითელი ყურძნის სუბსიდირება. 2015 წლის რთველის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე - 35 თეთრის, ხოლო 1 კგ. საფერვზე - 15 თეთრის ოდენობის სუბსიდია გაიცემა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ხელისუფლებას აქვს სრული მზაობა და დეტალურად გაწერილი გეგმა, რათა წლევანდელმა რთველმაც ორგანიზებულად ჩაიაროს და მოსავალის რეალიზაცია-დაბინავების პრობლემა არცერთ მევენახეს არ შეექმნას.

მიმდინარე წელს სუბსიდია გაიცემა პირდაპირ მევენახეებზე და არა ღვინის მწარმოებელ კომპანიებზე, როგორც ეს ბოლო 2 წლის განმავლობაში ხდებოდა. სუბსიდირების ამ პრინციპის მთავარი უპირატესობა არის ის, რომ გლეხი ჩაბარებული ყურძენის საფასურს დაგვიანების გარეშე, ყურძნის ჩაბარებიდან დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში, ბანკში მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე მიიღებს.

რთველი 2015-ის ფარგლებში, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში ღვინისა და სპირტის წარმოებისთვის იაფი სესხის გაცემა კვლავ გაგრძელდება.

შეხვედრაზე ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა მოახლოებული რთველის ღონისძიებებთან დაკავშირებით პრეზენტაცია წარმოადგინა. რთველი 2015-ის საკოორდინაციო შტაბი აგვისტოს ბოლოს თელავში გაიხსნება და 24 საათიან რეჟიმში იმუშავებს. შტაბის წარმომადგენლობა გურჯაანის რაიონშიც განთავსდება. ამოქმედდება ცხელი ხაზი 2 47 01 01; შარშანდელის მსგავსად, ჩაბარებული ყურძენი აღირიცხება სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით ერთიან ელექტრონულ ბაზაში და ნებისმიერ მსურველს განახლებული ინფორმაციის ნახვა ონლაინ რეჟიმში შეეძლება.

გიორგი სამანიშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ღვინის ეროვნულ სააგენტო აქტიურ მუშაობას აგრძელებს ქართული ღვინის პოპულარიზაციის და ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიების მიმართულებით.

შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ლევან დავითაშვილმა სახელმწიფოს მიერ აგროდაზღვევის პროექტის განხორციელებით და სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების დანერგვით მიღებულ დადებით შედეგებზე ისაუბრა. ხელისუფლებამ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის დამონტაჟებისთვის 14 მლნ ლარი გამოყო. მიმდინარე წელს, სწორედ აღნიშნული სისტემის ამოქმედებამ მოსახლეობას თავიდან აიცილა მოსავლის დიდი ნაწილის დაზიანება-განადგურება.

სტიქიამ კახეთის რამდენიმე რაიონი დააზარალა

(პირველი გვერდიდან)

ძირითადად ვაზი, რომელიც შეიძლება დაზიანებული იყოს.

უკვე პროცენტული მაჩვენებლებიც შემოგვივა. ასევე, უკვე ვფლობთ ინფორმაციას, რომ ვენახების საკმაოდ დიდი ნაწილი

დაზღვეულია, რაც მისასალმებელია. ჩვენი კუთხით კი, რაც საჭიროა ყველაფერს გავაკეთებთ. ასევე, არის ინფრასტრუქტურული ზარალიც. ამასთან დაკავშირებით პრემიერს სისტემატიურად ვაყენებთ საქმის კურსში", - განაცხადა დანელიამ.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, კახეთის რეგიონში სტიქიის შედეგების აღმოფხვრაზე მუშაობა დაიწყო. მიმდინარეობს ზარალის დათვლა.

სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა მოქმედებს მაშინ, როდესაც ხდება სეტყვის ღრუბლის ჩამოყალიბება, წუხელ კახეთში კი, საქმე გვქონდა უკვე ჩამოყალიბებულ ღრუბელთან , - ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ "დელტას" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა, გიგა ინაშვილმა განუცხადა.



"სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა მოქმედებს მაშინ, როდესაც ხდება ღრუბელში სეტყვის მარცვლის ჩამოყალიბება. რაც წუხელ მოხდა, ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა უკვე ჩამოყალიბებულ ღრუბელთან. სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებიდან შემოვიდა დიდი ზომის ღრუბლის ფრონტი, რომელშიც უკვე ჩამოყალიბებული იყო სეტყვის

მარცვლები. მოხდა აქტიურად ზემოქმედება, მაგრამ მისი დაშლა ტექნიკურად შეუძლებელია. ღრუბელმა ჩრდილოეთით გადაინაცვლა, კავკასიონის ქედის კალთებთან გაჩერდა და ახმეტიდან დაწყებული დასეტყვა ეს სოფლები. დანადგარები მუშაობდნენ, თუმცა ამ მუშაობას აზრი არ ქონდა", - აღნიშნა ინაშვილმა.

რაც შეეხება ღრუბლის მასების მონიტორინგსა და პრევენციული ნორმების გატარებას, "დელტას" პრესსამსახურის ინფორმაციით, სოფელ ნუკრიანში დაყენებულია რადარი, მეტეოროლოგიური რადიოლოკატორი, რომელიც 100 კილომეტრის რადიუსის მასშტაბით მუშაობს და კახეთის რეგიონში შემოსვლისთანავე აფიქსირებს ღრუბელს.

"ხდება ღრუბლის ტენიანობის შესწავლა და ამის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება საჭიროებს თუ არა ღრუბელი დამუშავებას", - განაცხადა გიგა ინაშვილმა.

4000-წლიანი ფოლკლორი და თინეიჯერი

დღეს თინეიჯერთა შორის ქართული ხალხური სიმღერა ნაკლებადაა მოდური. ასე იყო ჩემს ახალგაზრდობაშიც. როდესაც საუბარს ჩვენს ტრადიციებსა და მის შენარჩუნებაზე იწყებდნენ მშობელთა თაობის წარმომადგენლები, ჩუმად მეცინებოდა... ვერც ქართული ფოლკლორის 4000 წლიანი ისტორია და ვერც ხალხური სიმღერის მრავალხმიანობასა და უნიკალურობაზე ლაპარაკი შველოდა ჩემი თაობის მუსიკალური გემოვნების ტრანსფორმაციას. რა თქმა უნდა, ეს დროებითი გატაცება იყო, მოგვიანებით მუსიკალური გემოვნება შემეცვალა და გავაცნობიერე, რომ ჯაზსაც და ნებისმიერ სხვა მიმდინარეობას ქართული მრავალხმიანი სიმღერა სჯობს, თუმცა მანამდე სულ სხვა სამყაროში ვცხოვრობდი... ეს დამოკიდებულება ახალგაზრდებში არც დღეს შეცვლილა. ამიტომ, როდესაც გავიგე, რომ ნიკამ გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა, გამიკვირდა. მასთან ინტერვიუს ჩაწერაც ამ ფაქტმა გადამაწყვეტინა.

- ნიკა, ვიცი, რომ მუსიკის სიყვარული ოჯახიდან მომდინარეობს. დედა მუსიკის მასწავლებელია, მამაც- ირაკლი, მშვენიერი შემსრულებელია, ის რამდენიმე ინსტრუმენტზე უკრავს,მაგრამ შენი ასაკიდან გამომდინარე, მაინც რამ განაპირობა შენი ასეთი ინტერესი ხალხური მუსიკისადმი?

ნიკა შანშაშვილი - გალობა და ხალხური სიმღერა ჩვენი ტრადიციაა, ქართულ ტრადიციას კი შემნახველი და გამგრძელებელი სჭირდება. ეს მე კარგად მაქვს გაცნობიერებული და ჩემი არჩევანიც ამ ფაქტორმა განსაზღვრა. თუმცა, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო დალი ელისაშვილს, ჩემს პედაგოგს, რომელმაც ბავშვობიდან მაზიარა ხალხური სიმღერის მადლს, სწორედ მან შემაყვარა ის. დალი მასწავლებლის მიერ შექმნილ ბიჭუნათა ანსამბლში "ქიზიყი" გატარებულმა ათწლიანმა პერიოდმა ჩამოაყალიბა ჩემი მუსიკალური გემოვნება. შემდეგ იყო ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლა, სადაც ორწლიანი პროგრამა წელიწადსა და სამ თვეში გავიარე სკოლის პედაგოგების ხელშეწყობით. ისინი დამატებით გაკვეთილებსაც მიტარებდნენ, რათა მთავარი მიზნისთვის მიგვეღწია. მიზანი კი ხალხური სიმღერისა და გალობის უნივერსიტეტის სტუდენტობა გახლდათ.

- როგორ შეიტყე ამ უნივერსიტეტის შესახებ?

- მუსიკის განხრით წასვლა მინდოდა, მაგრამ არ ვიცოდი, სად ჩამებარებინა. რამდენიმე თვის წინ ჩვენს რაიონს სტუმრობდნენ თამრიკო ჭოხონელიძე და დავით ცინცაძე, რომლებიც ფოლკლორის ცენტრის გარდა ამ უნივერსიტეტსაც წარმოადგენდნენ. სწორედ მათგან შევიტყე, რომ 2005 წლიდან საპატრიარქოს პატრონაჟითა და ხელშეწყობით ფუნქციონირებს ხალხური სიმღერისა და გალობის უნივერსიტეტი, სადაც სწავლა უფასოა და წარჩინებული სტუდენტები საკმაოდ მაღალ სტიპენდიას იღებენ- თვეში 500 ლარის ოდენობით.

- ნიკა, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თუ გეგმავ დედოფლისწყაროში დაბრუნებას?

- ძალიან ძნელია გეგმები დავსახო ახლა, მაგრამ ერთი რამის თქმა თამამად შემიძლია- ამ უნივერსიტეტის მთავარი მიზანი სწორედ ისაა, რომ გაზარდოს პროფესიონალი კადრები, რომლებიც ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლებში დასაქმდებიან და ხელს შეუწყობენ იმ პროგრამის განხორციელებას, რასაც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა და დაცვა ჰქვია. აქედან გამომდინარე, მე ვგეგმავ დედოფლისწყაროში დაბრუნებას.

დასარულს, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა ჩემს პედაგოგს, იმ ადამიანებს, ვისაც წვლილი მიუძღვის ჩემს სტუდენტობაში. ვეცდები, გავაკეთო ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი და ყველას გავუმართლო იმედები.



სოფიო მაჭარაშვილი- დედოფლისწყაროს ხალხური სიმღერისა და ტრადიციული გალობის შემსწავლელი ბავშთა სკოლის დირექტორი:

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა რაიონის ხელმძღვანელობას, თამარ თამაზაშვილს, ყველას, ვინც ხელი შეუწყო ამ სკოლის დაარსებას დედოფლისწყაროში. ეს მართლაც მამულიშვილური საქმეა, დიდი მიზნისკენ მიმავალი ყოველი ნაბიჯი კი–გამართლებული. სკოლას უკვე ჰყავს პირველი კურსდამთავრებული, რომელიც იმ უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, საიდანაც მოდის სკოლის სასწავლო პროგრამები. უნივერსიტეტში მოღვაწეობენ ცნობილი მუსიკოსები, ლოტბარები, რეგენტები, ამის სადემონსტრაციოდ მხოლოდ ერთი სახელიც კმარა- ანზორ ერქომაიშვილი. ნიკას კი ვუღოცავ სტუდენტობას და წარმატებებს ვუსურვებ.

ვფიქრობთ, ნიკას მაგალითი გადამდები იქნება და მეტი ახალგაზრდა შეემატება როგორც სკოლას, ასევე უნივერსიტეტში სწავლის მსურველთა რიგებს.

ინგა ჯიოლაშვილი

მოდური და არაპრესტიჟული პროფესიები

ბოლო რამდენიმე წლის ტენდენცია გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდები პროფესიის არჩევის დროს უპირატესობას ძირითადად ერთი და იმავე მიმართულებას ანიჭებენ. სტატისტიკის მიხედვით, ეკონომიკა, ბიზნესის ადმინისტრირება, იურიდიული და სოციალური მეცნიერებები დომინირებს.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მომავალში ინჟინრების, გეოლოგების, სეისმოლოგების, ბოტანიკოსებისა და სხვა მსგავსი პროფესიების ადამიანების დეფიციტის წინაშე არ აღმოჩნდეს ქვეყანა? რა გახდა იმის მიზეზი, რომ მსგავსი პროფესიები ახალგაზრდებში პოპულარული აღარ არის? ამის შესახებ **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, ექსპერტი განათლების საკითხებში** გიორგი გახელაძე საუბრობს:

"ამ პროფესიების ნაკლები პოპულარობა რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული: პირველი - სტუდენტის და მისი ოჯახის დამოკიდებულება ამ პროფესიის პერსპექტიულობის მიმართ. მეორე არის სოციალური პრესტიჟი, ანუ როგორია ამ საზოგადოებაში სოციალური სტატუსი ამა თუ იმ პროფესიის მქონე ადამიანისა და მესამე, ამ პროფესიის დაუფლებისათვის საჭირო დანახარჯების გაწევა შემიძლია თუ არა. თუმცა, ყველაზე მეტად სტუდენტები მაინც პერსპექტიულობის მიხედვით ირჩევენ პროფესიას, კერძოდ, თუ რამდენად იოლად შეუძლია ახალგაზრდას ამა თუ იმ პროფესიით მუშაობის დაწყება და მაღალი ანაზღაურების მიღება", - აღნიშნა გახელაძემ.

მისივე თქმით, საქართველოში საბუნებისმეტყველო და საინჟინრო პროფესიები მივიწყებულია, ვინაიდან ქვეყანაში შესაბამისი შრომის ბაზარი განვითარებული არ არის. "მოთხოვნა ბაზარზე მსგავს პროფესიებზე მაშინ არის დიდი, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკა მუშაობს. სახელმწიფომ ამ ფაკულტეტებზე სტუდენტები გრანტირების სისტემით შესაძლოა წაახალისოს, მაგრამ ყველაზე კარგს, რასაც სახელმწიფო გააკეთებს, ეს არის შექმნას კარგი ბიზნესგარემო, რომ ეკონომიკა იყოს მზარდი, ამ პროფესიებს შემდეგ ადამიანები თავისთავად აირჩევენ", - აღნიშნავს გიორგი გახელაძე.

საბუნებისმეტყველო და საინჟინრო პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით, განათლების სამინისტრომ, უკვე მეორე წელია, უფასო ფაკულტეტები აამოქმედა, რამაც **გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის,** ივა მინდაძის თქმით, დაინტერესება გაზარდა: "იზრდება დაინტერესება საბუნებისმეტყველო მიმართულებებისადმი. ამაში, ალბათ, უფასო ფაკულტეტების როლი დიდია. მთავრობის გადაწყვეტილებაა, რომ ამ მიმართულებების სტიმულირებას ხელი ირიბად შეუწყოს. ამ ფაკულტეტებზე ბოლო წლებში მოთხოვნა არ იყო მაღალი, არადა, ძალიან მნიშვნელოვანია აგრარულ, საინჟინრო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე სპეციალისტების მომზადება".

ქალაქმგეგმარებელ ზურაბ ბაქრაძის თქმით, სახელმწიფოს გარდა, მედიასაც დიდი როლი აკისრია იმაში, რომ საინჟინრო დისციპლინები არ გაქრეს. "თუ ინჟინერია გაქრა, ამას ფატალური შედეგი ექნება საზოგადოებაზე. ამ მხრივ უკვე ვხედავთ ძალიან მძიმე მდგომარეობას. თუ ეს ტენდენცია არ შეჩერდა, საშინელი ვითარება შეიქმნება. ეს რომ არ მოხდეს, განათლების სისტემაში რეფორმა იქნება საჭირო. ასევე მედიის როლიც დიდია, რათა უფრო მეტი ინფორმაცია მიაწოდოს მოსახლეობას ამ სპეციალობების შესახებ. ახალგაზრდები ამ დისციპლინებით დოკუმენტური ფილმებისა და სხვა საშუალებებით უნდა დაინტერესონ", - აღნიშნა ზურაბ ბაქრაძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტს, ზაქრო წიკლაურს იმედი აქვს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს პერსპექტივა ექნება. "სკოლაში ტექნიკურ საგნებს კარგად ვსწავლობდი და ეროვნულებზეც ქიმია ჩავაბარე, თან როცა არჩევანი უნდა გამეკეთებინა ფაკულტეტზე, გეოლოგიით ძალიან დავინტერესდი. დღევანდელმა რეალობამ ფაქტის წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყანა, რომ აუცილებლად უნდა განვითარდეს ეს მეცნიერება და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, რათა ნაკლები სტიქიები და ზარალი იყოს",- ამბობს ზაქრო წიკლაური.

წინა წლების მონაცემების მიხედვით, ეკონომიკისა და ბიზნეს-ადმინისტრაციის მიმართულებას აბიტურიენტთა 60 პროცენტი ირჩევდა. წლევანდელი ტენდენციაც დაახლოებით იგივეა. თუმცა, ექსპერტების თქმით, თუ სახელმწიფო გააგრძელებს მუშაობას ამ კუთხით, დაინტერესება თანდათან საინჟინრო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების მიმართაც გაიზრდება, რაც ქვეყანას სამომავლოდ მსგავსი სპეციალობის ადამიანების დეფიციტს თავიდან აარიდებს.

„გამარჯვება მოვიპოვე და ჩემი რაიონი ვასახელე“...

ქალაქ თბილისში ჩატარდა მერვე საერთაშორისო ტურნირი უშუში. ტურნირში მონაწილეობას იღებდა საქართველოს, ინდოეთის, ირანის, რუსეთის, ყაზახეთის და თურქმენეთის უშუს ნაკრები გუნდების 160-ზე მეტი სპორტსმენი. ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაცია და თბილისის უშუს ფედერაცია.

შეჯიბრებას დაესწრო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე, უშუს ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი გიორგი მუსხელიშვილი და თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გეგა ზურაბაშვილი, ასევე პარლამენტარი გოგი თოფაძე,

შეჯიბრი მიმდინარეობდა ორი მიმართულებით - საჩვენებელ ტაოლუსა და კონტაქტურ ორთაბრძოლა სანდაში. ფედერაციამ ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად ევროპის მთავარი მსაჯები ალექსანდრე რადუნცევი და ანასტასია პუც პრეობრაჟენსკაია მოიწვია.

დედოფლისწყაროს უშუს კლუბიდან შეჯიბრებაზე კონტაქტურ ორთაბრძოლა სანდაში მონაწილეობას იღებდა 8 სპორტსმენი გიორგი ცისკარაულისა და ოთხი სპორტსმენი: აჩიკო ელყიანაშვილი, ნიკა ჩიტიშვილი, სერგო ძემ, გიორგი კეკიშვილმა და ისმაილ თავართქილაძემ დაიკავეს.

ილია დაიაურის ხელმძღვანელობით.

შეჯიბრებაზე დედოფლისწყაროდან ოქროს მედლის მფლობელი და ტურნირის ჩემპიონი გახდა პეტროსიანი და ლევან თეთრაული.

მეორე ადგილი დაიკავა ლევან მარტყოფლიშვილმა, ხოლო მესამე ადგილები გიორგი ლობჟანიძემ, გიორგი კეკიშვილმა და ისმაილ თავართქილაძემ დაიკავეს.

„საკმაოდ დაძაბული და ემოციური გამოგდა ლევან თეთრაულის ბრძოლა რომელმაც ინდოელი და აზრბაიჯანელი მოწინააღმდეგეები დროზე ადრე, ნოკაუტით დაამარცხა. ასევე ლამაზი და ტექნიკურად კარგად შესრულებული ბრძოლები აჩვენეს სერგო პეტროსიანმა და ნიკა ჩიტიშვილმა, რომელმაც უკვე ზედიზედ მესამე წელია წაუგებელი სერია გააგრძელა და აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა. ამ დონის ტურნირზე რომელსაც A კატეგორია ენიჭება ეს საკმაოდ კარგი შედეგია ჩვენთვის, საქართველოს გუნდებიდან კონტაქტურ ორთაბრძოლა სანდაში 4 ოქროს მედალი არცერთ გუნდს არ აუღია, მიუხედავად იმისა რომ არ გაგვაჩნია არანაირი სავარჯიშო პირობები,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ უშუს კახეთის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ცისკარაულმა.

„მარნეულელ მოწინააღმდეგეს შევხვდი, რომელიც საბედნიეროდ დავამარცხე, გამარჯვება მოვიპოვე და ჩემი რაიონი ვასახელე. გამიჭირდა, ძლიერი მეტოქე იყო, მაგრამ, აშკარა უპირატესობა მქონდა და საბოლოოდ, ქულებით ვაჯობე,“ - ამბობს ნიკა ჩიტიშვილი.

სულ დედოფლისწყაროდან მედლების რაოდენობა ჯამში ასე გადანაწილდა: 4 ოქრო, 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაოს მედალი.

ილია მარტყოფლიშვილი

გველის ნაკბენის ორი შემთხვევა

აგვისტოს თვეში გველის მიერ ადამიანის დაკბენის ორი შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში.

სოფელ სამთაწყაროში მცხოვრებ 29 წლის ქალს და დედოფლისწყაროში მცხოვრებ 12 წლის ბიჭს ანტიგიურზინის ვაქცინა დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გაუკეთდათ, თუმცა ორივე შემთხვევაში პაციენტები დედაქალაქში გადაიყვანეს. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

„ბოლო შემთხვევა 14 აგვისტოს დაფიქსირდა. საავადმყოფოში ბავშვი შემოიყვანეს, დაუყოვნებლივ აცრა ჩაუტარდა. საავადმყოფოში ანტიგიურზინის საკმარისი მარაგი გვაქვს, ვაქცინა ვადების დაცვით შემოგვაქვს და ამ მხრივ შეფერხება არ არის“, — განაცხადა დედოფლისწყაროს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა ხათუნა ზურიკაშვილმა.

დედოფლისწყაროს მთავარი ექიმის ცნობით, წელს გველის დაკბენის სხვა შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

„პაციენტი სოფლის ბოლოს, ვენახებთან ახლოს ცხოვრობს. შესაძლოა, ქვეწარმავალი ეზოში სწორედ ვენახებიდან მოხვდა. ქალი საკუთარ ეზოში იყო გამოსული, რა დროსაც შემთხვევით ფეხი დაადგა და გველმა დაკბინა. სასწრაფო დახმარება სოფელში დროულად ჩამოვიდა. შრატი გზაშივე გაუკეთდა, თუმცა მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ თბილისში მაინც გადაეყვანათ,“ - განუცხადა „შირაქს“ სოფელ სამთაწყაროში გამგებლის წარმომადგენელმა გულო ნადირაშვილმა.

ოფიციალურად არ დასტურდება ახლახან გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს სოფელ ზემო ქედში გველის დაკბენის შედეგად ქალი გარდაიცვალა. სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში გიურზამ ქალი დაკბინა, რომელიც იმის გამო გარდაიცვალა, რომ დედოფლისწყაროს საავადმყოფოში ანტიგიურზინი არ ჰქონდათ და პაციენტი თბილისში გადაიყვანეს.

ფაქტს უარყოფენ როგორც დედოფლისწყაროს საავადმყოფოში, ისე სოფელ ზემო ქედში. ზემო ქედში გამგებლის წარმომადგენელი ბეჟან სუხაშვილი ამბობს, რომ ასეთი რამ სოფელში არ მომხდარა.

ილია მარტყოფლიშვილი

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ტურ-ოპერატორებისთვის ინფო ტური ჩატარდა

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ინფო ტური მოეწყო. ტურში მონაწილეობა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თანამშრომლებმა და ტურ-ოპერატორებმა მიიღეს.

ისინი გაეცნენ არსებულ ინფრასტრუქტურასა და სერვისებს, ასევე, სააგენტოს თანამშრომლებმა პრეზენტაცია ჩაატარეს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ. მოგვიანებით, მონაწილეებმა მიჯნისყურე, ტახტითეფას ტალახის ვულკანების ბუნების ძეგლი და ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრე მოინახულეს.

ამგვარი საინფორმაციო ტურები ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის ინტენსიურად ტარდება.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ისტორიულ ქიზიყში მდებარეობს. ვაშლოვანი საქართველოს ყველა სხვა დაცული ტერიტორიიდან აქ არსებული ნახევარუდაბნოს ეკოსისტემებითაა გამორჩეული.

დაბრუნება 73 წლის შემდეგ

„ჭაბუკები დარჩნენ მარად“ - ეს ტრაფარეტული და გაცვეთილი ფრაზაა თითქოს, მაგრამ მისი შინაარსი მარადიულია და ის გამოხატავს იმ ვაჟკაცების ნაადრევად შეწყვეტილ სიცოცხლეს, ვინც თავი შესწირა სამშობლოს თავისუფლებას. ასეთები მრავლად არიან, რადგან კაცობრიობამ ვერა და ვერ გაითავისა, იცხოვროს ძალადობის გარეშე. „ომი“ - აი, ის საზარელი სიტყვა, რომლის შედეგიცაა სწორეს ჭაბუკებად დარჩენილი ადამიანების ბედი. ასეთი ბედი ერგო ერთ-ერთ მათგანსაც, რომლის ისტორიასაც ქვემოთ მოგიყვებით. დიახ, მისი მსგავსი ბევრია, მაგრამ ის იმით განსხვავდება სხვებისაგან, რომ 73 წელი ინვა ვოლგოგრადის ოლქის სერაფომოვიჩის რაიონის ხუტორ ბუერაკ-პოპოვსკის მინაში და სამშობლოში დაბრუნებას ელოდა.

თუმცა, მოდით, თავიდან დავიწყოთ: - სოფელ ცლუნკაანში, ახლანდელ ოზაანში, ცხოვრობდა ერთი მშრომელი, ალალ-მართალი კაცი გიორგი ჩალახეშაშვილი. მეუღლესთან, ნინოსთან ერთად სამ შვილს უზრდიდა ქვეყანას- დავითს, მარიამს და იოსებს. ცხოვრება მშვიდად მიდიოდა, გლეხი კაცის კვალობაზე არა უჭირდათრა, ცოლ-ქმარი შრომობდა, ბავშვები სწავლობდნენ, იზრდებოდნენ... მერე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, ასე მსოფლიო უწოდებს ამ ომს, თორემ ის ჩვენი ხალხისთვის სამამულო ომი იყო, თავის მიწა-წყალს იცავდნენ ფაშისტური გერმანიის მუხანათური თავდასხმისაგან.



დავით ჩალახეშაშვილი

დავითი უკვე ოცი წლის ჭაბუკი იყო. ახლადშერთული, ფეხმძიმე ცოლი დატოვა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. უკვე დღე-დღეზე ელოდნენ პატარის დაბადებას. წვევამდელებს წნორში მოუყარეს თავი. დავითის გული ზღვას ერეოდა. მაინც გაუბედა უფროსს და სთხოვა, ამაღამ სახლში ავირბენ, იქნებ სწორედ ამაღამ იმშობიაროს ჩემმა ცოლმა და შვილი დავინახოო. ღვთისნიერი კაცი გამოდგა უფროსი, გამოუშვა. წნორიდან ფეხით ამოვიდა დავითი ოზაანში. მთელი ღამე გაათენეს ახალგაზრდებმა წარსულის მოგონებებით და ბუნდოვან და გაურკვეველ მომავალზე საუბრით. უთენია წავიდა დავითი და ცოლს დაუბარა: „თითქმის დარწმუნებული ვარ, ბიჭი დაიბადება, შენ იცი, ვაჟკაცად გაზარდე, თუ ვერ დავბრუნდი, უმამობა არ აგრძნობინოო“. 1942 წლის 11 იანვარი იდგა. დავითმა კარი გაიხურა, წავიდა და წავიდა.. 29 იანვარს, მართლაც, ბიჭი შეეძინა ბაბულია გულიაშვილ-ჩალახეშაშვილს. სახელად ვაჟა დაარქვეს. ფრონტზე მიღებული სამკუთხა ბარათით გაიგო დავითმა შვილის დაბადება. „ვაჟა ძალიან კარგი სახელია, მაგრამ მე იაგო მინდოდა დამერქმია, ყაზბეგის „მამის მკვლელი“ წაიკითხეთ და ნახავთ, როგორი ვაჟკაცი იყო იაგოო“. ამ წერილის მიღებიდან, მამის საპატივსცემოდ, ბავშვს ყველა იაგოს ეძახდა, ვაჟა მხოლოდ საბუთებში ეწერა. 1942 წლის ივლისიდან შეწყდა დავითის წერილები. ამაოდ ელოდნენ, ომის დამთავრების შემდეგ იქნებ გამოჩნდესო...

ომში დავითის მამა, გიორგიც გაიწვიეს მობილიზაციის დროს. ცეცხლის წინა ხაზზე იბრძოდა. მერე დაჭრილი უკან დააბრუნეს. ძველ საქმიანობას დაუბრუნდა გლეხი კაცი. მეცხვარე გახლდათ, მუხლმაგარი, კარგი სარქალი, მაგრამ ომსგადარჩენილს მთაში უყელა სიკვდილმა. როგორც მაშინ ამბობდნენ, „წყლის არწივი“ ჩააყოლაო ნაკადულს დაწაფებულმა და... საშველი არსაით იყო.

სწორედ მისი დაკრძალვის დღეს, 1947 წელს მოვიდა ცნობა დავითის უგზო-უკვალოდ დაკარგვის შესახებ. ოჯახი იმედს არ კარგავდა, იქნებ გამოჩნდეს სადმეო. სულ გზას გაჰყურებდა დედამისი ნინო. ახალგაზრდა მეუღლემ კი, თავი დადო, უერთგულა მეუღლის კერას და დანაბარები შეუსრულა, ნამდვილად კარგ ადამიანად და მოქალაქედ გაზარდა შვილი; იაგო ჩალახეშაშვილს მთელი რაიონი იცნობდა. ის ერთ-ერთი საუკეთესო კბილის ტექნიკი გახლდათ მთელს ქიზიყში. მუშაობდა სიღნაღშიც, დედოფლისწყაროშიც. სამი შვილი ეყოლათ იაგო და ნინელი ჩალახეშაშვილებს: პაპის მოსახელე დავითი, ინგა და ირმა. 67 წლის ასაკში, სულ რამდენიმე წლის წინ, გარდაიცვალა იაგო. ახლა მამა-პაპის ნაფუძვარზე დავით უმცროსის ოჯახი ცხოვრობს. დიდი პაპა-ბებიის მოსახელე ნინო და გიორგი გაიზარდნენ ამ კერაზე. ინგა, თავის ოჯახთან ერთად, რუსთავში ცხოვრობს, პედაგოგია, ირმა კი ექთანია. ის დედოფლისწყაროში შპს „ექიმები თქვენს სამსხურში“ ფიზიოთერაპიის და კარდეოლოგიის კაბინეტების ექთანია.

და აი, სულ ცოტა ხნის წინ, ოჯახი ააღელვა ინფორმაციამ დავით ჩალახეშაშვილის ნეშტის პოვნის თაობაზე. საქართველოს შვეიცარიის საელჩოში, რუსეთის ინტერესების სექციაში (საქართველოში რუსეთის საელჩოს ფუნქციას ეს ორგანიზაცია ასრულებს) შეტყობინება მოვიდა ვოლგოგრადიდან. რეგიონული სამძებრო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ნასლედიეს“ (მემკვიდრეობა) წარმომადგენლობა თბილისს ატყობინებდა , რომ 2015 წლის 24 ივლისს ვოლგოგრადის ოლქის სერაფიმოვიჩის რაიონის ხუტორ ბუერაკ-პოპოვსკის მახლობლად სამძებრო ჯგუფის „კრასნოარმეეც“ (წითელარმიელი) წევრებმა და იტალიელმა სტუმარმა კრისტიან ჩივეტამ აღმოაჩინეს ორი მებრძოლის ნაშთი: შინელის და ჩექმის ნაწილები და პირადი ნივთები - წითელარმიელის წიგნაკი, ფანქარი, კბილის ჯაგრისი, წერილის ფრაგმენტები, გახუნებული ჩანაწერების წიგნაკი და მესანგრის ნიჩაბი. წითელარმიელის წიგნაკი დასვრილი იყო სისხლით, მაგრამ დადგინდა, რომ ერთ-ერთი გარდაცვლილი იყო ჩალახეშაშვილი დავით გიორგის ძე, დაბადებული 1922 წელს წითელწყაროს რაიონის სოფელ ცლუნკაანში, გაწვეული იქნა 11.01 1942 წელს წითელწყაროს სამხედრო კომისარიატის მიერ. მეუღლე-ჩალახეშაშვილი ბაბულია დავითის ასული. გარდაცვლილი მებრძოლი ითვლებოდა დაკარგულად 1942 წლის ივლისიდან.

საქარველოში შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციამ გამოაგზავნა საქართველოს რუსეთის ომის მონაწილეთა კავშირის თავმჯდომარე ვალერი სვარჩუკი დედოფლისწყაროში სპეციალური დავალებით- მოეძებნა გარდაცვლილი მებრძოლის ნათესავები.

აი, რას ჰყვება ვალერი სვარჩუკი: „ჩალხეშაშვილის ნათესავების მოძიებაში დიდი დახმარება გამიწია დედოფლისწყაროს სამხედრო მაგიდის უფროსმა გიორგი იაკობიშვილმა. მე ვესაუბრე დავით ჩალახეშაშვილის შვილიშვილს, რომელსაც პაპის სახელი ჰქვია და პაპისეულ სახლში ცხოვრობს.

დავითის მეუღლე ბაბულია გულიაშვილი

როგორც ირკვევა, 1942 წლის ივლისში დაიწყო სტალინგრადის ბრძოლები, რომელიც 200 დღე- ღამე გაგრელდა. მისი მასშტაბის თანაფარდი ბლოკადა არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას. სტალინგრადის მახლობლად, ხუტორ ბუერაკ-პოპოვსკისთან 1942 წლის აგვისტოში გაიმართა სამკვდრო- სასიცოცხლო ბრძოლა. ამ ადგილმა მიიღო სახელწოდება „სასაკლაო“. აქ მიწის ყოველი სანტიმეტრი ჯარისკაცების სისხლით იყო მორწყული. ბრძოლის შემდეგ ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა დახოცილები საძმო საფლავში პატივით დაკრძალეს ხუტორის ცენტრში.

მე ჩემი ორგანიზაციის წევრთა სახელით ვეცდები, რომ ჯარისკაცი დავით ჩალახეშაშვილი, სტალინგრადის დაცვის ერთ-ერთი მონაწილე, წარდგენილი იყოს საბრძოლო ჯილდოზე სიკვდილის შემდეგ. ოჯახს დავეხმარებით, ჯარისკაცის ნაწილები რუსეთიდან საქართველოში გადმოასვენონ და ადგილობრივი საბრძოლო დიდების მემორიალთან დაკრძალონ. (ეს ინტერვიუ ვალერი სვარჩუკთან გაზეთმა „უიკენ ენდ-ს ვეჩერნიმ ტბილისი“ დაბეჭდა 8-14 აგვისტოს ნომერში)“

ოზაანის საბრძოლო დიდების მემორიალზე დავით ჩალახეშაშვილის გვარი ამოტიფრულია, როგორც უგზო-უკვალოდ დაკარგულის. მის სახელზე დარგული ნაძვი კი აშოლტილი დგას მედიდურად და პატრონს ელოდება. ის ისეთივე ძლიერი და მაღალია, როგორც თავად დავით ჩალახეშაშვილი იყო.

დავითის და, მარიამ ჩალახეშაშვილი-ზურაშვილი 89 წლისაა და დედოფლისწყაროში, ჰერეთის (სტალინის) ქუჩაზე ცხოვრობს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. მისთვის ეს ამბავი ერთდროულად სასიხარულოც არის და ტკივილიანიც.

„- ჩემი ძმა ჩემზე 6 წლით უფროსი იყო. ახოვანი, თვალტანადი, ძალიან ლამაზი თვალები ჰქონდა. ნიჭიერი იყო. ცლუნკაანში სკოლა არ იყო და არბოშიკის სკოლაში დადიოდა. 7 კლასი დაამთავრა და ბაკურციხის ტექნიკუმში აგრონომიურ ფაკულტეტზე წავიდა სასწავლებლად. მასწავლებლები ეხვეწებოდნენ, არ წახვიდე, საშუალო სკოლა დაათავრე და მერე უმაღლესშიც თავისუფლად ჩაირიცხები, შენ ისეთი ძლიერი ხარო, მაგრამ თვითონ ასე გადაწყვიტა, ტექნიკუმს მალე დავამთავრებ და სამსახურშიც მალე ჩავდგებიო. ალბათ, ბედისწერაც ეს იყო. იქ, ბაკურციხეში შეხვდა თავის გულისსწორს. ლაგოდეხელი გოგო ბაბულია გულიაშვილი შეუყვარდა. ერთხელ მითხრა, ბაბულიას წერილს მივწერ და ზევიდან შენს სახელს დავაწერო, ოჯახმა რომ არაფერი იეჭვოსო. ის წერილი, დრო-ჟამისაგან გაყვითლებული და დაძენძილი, დღესაც შენახული მაქვს. ხშირად ამოვიღდი და მის ნაწერს ვეფერებოდი. ვნატრობდი, ნეტავი სადმე გამოჩნდესმეთქი. აკი გამოჩნდა, მაგრამ.. სულ გამიახლდა მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. მოგონებები ამეშალა და მოსვენებას არ მაძლევს. ბევრი რამ მახსენდება. ერთხელ მითხრა: მოდი, დაჯექი, რუსული ლექსი უნდა გასწავლოო. მთელი ღამე მეჩიჩინა და ვერ დამასწავლა. მერე ხელი ჩაიქნია და დაიძინეო, მითხრა. დილით რომ გავიღვიძე, ლექსი ზეპირად ვიცოდი. დღესაც უშეცდომოდ მახსოვს ის ლექსი. (ამ ამბის დასამტკიცებლად მართლა მითხრა ორსტროფიანი რუსული ლექსი) ახლა ვზივარ და ველოდები, როდის გადმოასვენებენ,“– გვიამბობს მარიამი და თან ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდის სიბერისაგან ჩამქრალი თვალებიდან.

გიორგი და ნინო ჩალახეშაშვილები შვილებთან: დავითთან, მარიამთან და იოსებთან

„- გული მწყდება, რომ მამაჩემი - იაგო ჩალახეშაშვილი, ვერ მოესწრო ამ ამბავს. მთელი ცხოვრება იმის ნატრული იყო, ნეტავ მამის საფლავი მაჩვენნაო. ხშირად დადიოდა ექკურსიებზე საბჭოთა კავშირის გმირ ქალაქებში, ათვალიერებდა ობელისკებს და მამის კვალს ეძებდა. დღეს ეს კვალი ნაპოვნია. ახლა მობილიზება და ეკონომიური სახსრებია საჭირო, რომ ის ღირსეულად გადმოვასვენოთ და მშობლიურ მიწას მივაბაროთ. საელჩო ძალიან გვიწყობს ხელს, შვილიშვილებს უკვე გაგვიმზადეს პასპორტები. გვპირდებიან, რომ ვიზებზეც არანაირი შეფერხება არ გვექნება. 20 აგვისტოს დასრულდებოდა ყოველგვარი კვლევა და უფლება მოგვეცემა, გადმოვასვენოთ. ახლა მთავარია, ფინანსები მოვიძიოთ. მამა ცოცხალი აღარ არის, ჩემი ძმა უმუშევარია, თან სულ ახლახანს ქალიშვილი გაუთხოვდა. მაგრამ იმედი მაქვს, რაიმე გზა გამოინახება, - ამბობს ჩვენთან საუბარში დავითის შვილიშვილი ირმა ჩალახეშაშვილი.

ჩვენც იმედს გამოვთქვამთ, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა უყურადღებოდ არ დატოვებს ამ იშვიათ მოვლენას და დახმარებას აღმოუჩენს ჩალახეშაშვილებს ღირსეულად მიაბარონ სამშობლოს შეწირული ვაჟკაცის ნეშტი მშობლურ მიწას.

მშობლიურ სახლში კი დავით ჩალახეშაშვილს დიდი შთამომავლობა ელოდება – რძალი, შვილიშვილები, შვილიშვილის შვილები და შვილთაშვილები.

კეთილი იყოს თქვენი სახლში დაბრუნება, ჯარისკაცო!

ნაირა გორაშვილი



ნიკალას "ნათლული" - რა კავშირია ილიკო სუხიშვილსა და ფიროსმანს შორის

10 წლის ილიკო ქუჩაში უცნობ მამაკაცს გამოესარჩლა. მამაკაცი ნასვამი იყო და მალაკნების ბაზართან ბარბაცით მიდიოდა. მას დახეული ქურთუკი და ჩექმა ეცვა. უკან ბავშვების გუნდი მისდევდა და მთვრალს აბუჩად იგდებდა. ილიკომ ჯოხი მოიმარჯვა და თანატოლებს შეუტია. შეშინებულმა ბავშვებმა მთვრალს თავი დაანებეს. უცნობმა მშველელი იცნო. იგი მუშტაიდის ბაღში არაერთხელ უნახავს, როცა ბიჭი იმ დროს თბილისში ყველაზე მოდურ ცეკვას "შამილს" ასრულებდა. მამაკაცმა ილიკოს მადლობა გადაუხადა და ჩრდილო-კავკასიელთა ლეგენდის - შამილის ნახატის ჩვენება შესთავაზა. ნესტიან ოთახში, სადაც არც საწოლი იდგა და არც - სკამი, უცნობმა ბავშვს ზეთის საღებავებით შესრულებული ნახატი უჩვენა. შემდეგ ცეკვა შეუქო და ურჩია, ამ საქმეს გაჰყოლოდა. დამშვიდობებისას ილიკომ მასპინძელს ვინაობა ჰკითხა. მამაკაცმა უპასუხა, რომ მხატვარი ნიკალა ფიროსმანაშვილი იყო.

ერთხელ ილიკო სუხიშვილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაიბარეს - ცეკვის ანსამბლის დაარსების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. სუხიშვილმა იცოდა, რომ კომუნისტები ყოველგვარ ინდივიდუალიზმს ეჭვით უყურებდნენ, ამიტომ ცეკვები ხალხურ შემოქმედებად წარადგინა და დამალა, რომ ილეთების უდიდესი ნაწილი მისივე შექმნილი იყო. კულტურის სფეროს ერთ-ერთი ხელძღვანელის, ვარლამ შადურის, კაბინეტში ილიკომ პიჯაკი და ფეხსაცმელი გაიხადა და პარტიულ ჩინოსნებს წარმოდგენა გაუმართა. თავისივე გახმოვანებით "ყაზბეგური", "მოხევური", "ქართული" და "ბაღდადური""იცეკვა. მამაკაცის პარტიებთან ერთად ქალის ილეთებსაც ასრულებდა და თან თითოეულ ცეკვას შესაბამის კომენტარს ურთავდა. არტისტიზმითა და საოცარი შესრულებით ისეთი ეფექტი მოახდინა, რომ შადურმა განუცხადა, - ანსამბლი აუცილებლად უნდა შექმნაო. ეს ამბავი ზუსტად 70 წლის წინ, 1945 წლის ზაფხულში მოხდა... სუხიშვილებს მაყურებელი დღემდე აღტაცებაში მოჰყავს.

მილანის ლა-სკალას თეატრში, სადაც სუხიშვილებამდე არც ერთი ერის ფოლკლორულ დასს ფეხი არ დაუდგამს, ქართველი მოცეკვავეების წარმოდგენის დასრულების შემდეგ, ოვაციების თანხლებით, ფარდა 14-ჯერ აიწია და ლეგენდარული ტენორის, ენრიკო კარუზოს "რეკორდს" გადააჭარბა - მისი გამოსვლის შემდეგ ლა-სკალაში ფარდა 11-ჯერ ასწიეს.

სუხიშვილების თაყვანისმცემელთა შორის იყვნენ: ჯონ კენედი, ფიდელ კასტრო, ჯავაჰარლარ ნერუ, ინდირა განდი, პელე, ფრენკ სინატრა, ჟან გაბენი, ბრიჟიტ ბარდო, უოლტ დისნეი, ჩარლი ჩაპლინი... ნიუ-იორკში, ბროდვეიზე, დასის წარმოდგენები წლის საუკეთესო შოუდ ორჯერ აღიარეს. სხვადასხვა წლებში "ნიუ-იორკ თაიმსმა", "ვაშინგტონ პოსტმა", "დეილი ტელეგრაფმა", "ფიგარომ" და სხვა წამყვანმა გაზეთებმა ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ანსამბლი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფოლკლორულ კოლექტივად დაასახელეს...

1917 წელს ნინო რამიშვილი უმცროს დასთან - თამართან ერთად, თბილისის ყველაზე პრესტიჟულ, მარია პერინის საბალეტო სტუდიაში მიიყვანეს.

გოგონების

ცეკვამ სტუდიის ხელმძღვანელები აღაფრთოვანა, მაგრამ სწავლის გადასახადი დიდი აღმოჩნდა, რამიშვილებს ამდენი ფული არ ჰქონდათ და დედამ გულდაწყვეტილი შვილები შინ წამოიყვანა. მეორე დღეს რამიშვილების ოჯახს თავად მარია პერინი ესტუმრა, იმდენად კარგი გოგოები გყავთ, თანახმა ვარ, უფასოდ იარონო!"ეს ეპიზოდი ფილმ "ვერის უბნის მელოდიებში" აისახა...

1924 წლის 26 აპრილს ილიკო სუხიშვილი თავისმა კლასელმა სერგო ზაქარიაძემ ოპერაში დაპატიჟა. იქ მარია პერინის სტუდიის გოგონები ცეკვავდნენ. იმ საღამოს ილიკო

მასზე 3 წლით უმცროსმა, 14 წლის მოცეკვავე გოგომ მოხიბლა, რომელიც" ყვითელი მარგალიტის როლს ასრულებდა. წარმოდგენის პროგრამაში ყვითელი მარგალიტის გასწვრივ რამიშვილის გვარი ეწერა. ილიკომ ეს გვარი ფრჩხილის გასმით მონიშნა... ამაყი ნინო დაკემსილსამოსიან თაყვანისმცემელს ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ბიჭი ჯიუტი იყო, ფეხდაფეხ დაჰყვებოდა, მალე კი ბედნიერი შემთხვევაც მოხდა. ილიკო პერინის საბალეტო სტუდიაში მიიღეს და ცეკვისთვის მეწყვილე გამოუძებნეს - ნინო რამიშვილი. მას შემდეგ ერთმანეთს არ დასცილებიან, თუმცა ქორწილი არ ჰქონიათ და ცხოვრების ბოლომდე ოფიციალური რეგისტრაციაც კი არ გაუვლიათ.

ნინოსა და ილიკოს მიერ დაარსებულმა ანსამბლმა ხუთივე კონტინენტის 88 ქვეყანაში იმოგზაურა. დასის კონცერტებს 50 მილიონზე მეტი მაყურებელი დაესწრო. თითოეული წარმოდგენა დღემდე სრული ანშლაგით მიმდინარეობს

გალაკტიონი თითქმის ყველა კონცერტს ესწრებოდა. შემდეგ კი სცენაზე ადიოდა და ახალგაზრდა მოცეკვავეებს გულში იკრავდა. ამის შემდეგ ილიკოს კოტე მარჯანიშვილი ელოდა. ისინი, როგორც წესი, რესტორან "ორიენტში" მიდიოდნენ, სადაც დიდი რეჟისორი სუხიშვილს ფრანგული კონიაკით უმასპინძლდებოდა.

1935 წელს ინგლისში ხალხური ცეკვის მსოფლიო ფესტივალი გაიმართა. ილიკომ იქ სოლო ნომერი შეასრულა და გრან-პრი მოიპოვა.

ინგლისის მეფე ჯორჯმა და დედოფალმა მერიმ სუხიშვილი ოქროს მედლით დააჯილდოეს. ილიკო დედოფალს ხელზე ემთხვია. ამ ამბავმა კრემლამდე მიაღწია. ინგლისიდან დაბრუნებული დელეგაცია სტალინმა მიიღო და ამბორის შესახებ სუხიშვილს ორაზროვანი კითხვა დაუსვა. ილიკო შეშინდა, თუმცა ბელადმა მოულოდნელად გაუღიმა და საქციელიც შეუქო.

სტალინი სუხიშვილისადმი ყოველთვის განსაკუთრებულად თბილი იყო. ეს ფაქტი ბევრს, მათ შორის ნინოსაც აოცებდა. რამიშვილის აზრით, ბელადი არა მხოლოდ ილიკოს ცეკვით იყო მოხიბლული, ორივე გორის რაიონიდან იყო, ორივე სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა და დიქტატორის ასეთ დამოკიდებულებას, შესაძლოა, ეს გარემოებებიც განაპირობებდა.

ერთხელ, როცა კრემლში მორიგი წვეულება გაიმართა, ბელადმა სუხიშვილთან საუბარი გააბა. ილიკო სტალინს ძია სოსოთი მიმართავდა და თავშესაქცევ ამბებს უყვებოდა. მოულოდნელად, იქვე მყოფმა მოსკოვის დიდი თეატრის ხელმძღვანელმა სტალინს უთხრა, - მართალია, კარგად ცეკვავს, მაგრამ კომკავშირში ცუდად მუშაობსო."კომკავშირში სხვამ იმუშაოს, ამან კი იცეკვოს! - ბრძანა სტალინმა.

იმავე წვეულებაზე ბელადმა ფირსაკრავი ჩართო და დარბაზში ქართული საცეკვაო მელოდია აჟღერდა. ილიკომ ცეკვა წამოიწყო. ქვეყნის მეთაურის ბრძანებით, მას კლიმენტი ვოროშილოვი, სერგო ორჯონიკიძე და ლავრენტი ბერია აჰყვნენ. პოლიტბიუროს წევრების მოუხეშავ მოძრაობებს სტალინი ირონიით შესცქეროდა. შემდეგ ხელით ანიშნა, შეჩერდითო, ილიკოს მიუახლოვდა, გულში ჩაიკრა და ჰკითხა, - მითხარი, რა გინდა და შეგისრულებო. თქვენი სურათი მაჩუქეთ, ძია სოსო!"- უმალ მიუგო ილიკომ. სტალინმა საკუთარ ფოტოს სამახსოვრო ტექსტი დააწერა და გადასცა.

როცა ქვეყანაში რეპრესიები დაიწყო, ჩეკისტები სუხიშვილების ბინაშიც მივიდნენ. შინ მხოლოდ ნინო იყო. ბინის ჩხრეკისას კედელზე სტალინის ფოტო შენიშნეს. სურათი ჩამოხსნეს, წარწერა წაიკითხეს, დიასახლისს ბოდიში მოუხადეს და ბინა სასწრაფოდ დატოვეს.

ნინოს და ილიკოს განსხვავებული ხასიათები ჰქონდათ. ილიკო რბილი, ხალისიანი და დიპლომატიური იყო, რამიშვილი კი - დინჯი, მკაცრი და შეუვალი, თუმცა დასის წევრებს ისიც უსაზღვროდ უყვარდათ და მოცეკვავეებზე ზრუნვის გამო მეტსახელად "მამიდაც" კი შეარქვეს.

ნინოსა და ილიკოს მიერ დაარსებულმა ანსამბლმა ხუთივე კონტინენტის 88 ქვეყანაში იმოგზაურა. დასის კონცერტებს 50 მილიონზე მეტი მაყურებელი დაესწრო. თითოეული წარმოდგენა დღემდე სრული ანშლაგით მიმდინარეობს.

ხსოვნა



თამაზ ზურაშვილი

მამა, როგორ გვინდა შენი ამბავი ვუამბოთ ყველას... - ვისაც კარგად იცნობდი და მათაც – ვინც კარგად გიცნობდა, თუ როგორი ჰუმანური ადამიანი, მოსიყვარულე მამა და საუკეთესო პაპა იყავი . უშენოდ ჩვენმა ოჯახმა სიხარული და სიხალისე დაკარგა. თურმე შენ ყოფილხარ ყველაფერი, თურმე შენ გვაძლევდი ხალისიანი ცხოვრების სტიმულს. რა სამწუხაროა, რომ შენი ბიჭების დავაჟკაცებას ვერ უყურებ. დრო არ აღმოჩნდა კარგი მკურნალი. უშენოდ ხუთი წელი გავატარეთ, გვენატრება შეთან ერთად გატარებული სიხარულით სავსე დღეები. მამა, ძალიან გვაკლიხარ და გვიყვარხარ. უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

შენი ოჯახი, შენი შვილები და შვილიშვილები.

92 წლის დონა მარია ჯილოს რჩევები - „როგორ დავრჩეთ ახალგაზრდა?“

დონა მარია ჯილო 92 წლის არის. ის მინიატურულია და ძალიან ელეგანტური. დილის 8 საათზე უკვე გამოწყობილია, ვარცხნილობა გაკეთებული აქვს და მიუხედავად სუსტი მხედველობისა, დახვეწილი მაკიაჟიც სულ აქვს გაკეთებული.

აი, რა უპასუხა მხცოვანმა ლამაზმანმა კითხვაზე: “როგორ დავრჩეთ ახალგაზრდა?”

1. არ იფიქრო ციფრებზე, რომლებიც უმნიშვნელოა. ციფრებში შედის ასაკი, წონა და სიმაღლე. დაე, ექიმებმა ინაღვლონ ამაზე.

2. იახლობლე მხოლოდ მხიარულ ადამიანებთან. უკმაყოფილო და წუწუნა ადამიანები უკან დაგხევენ ცხოვრებაში.

3. გააგრძელე სწავლა. მეტი გაიგე კომპიუტერებზე, ხელობებზე, მებაღეობაზე — რაზეც გენებოს, იმაზე.

4. დააფასე ყველა წვრილმანი.

5. ხშირად იცინე, ხმამაღლა და დიდხანს. იცინე, მანამ სუნთქვა შეგეკრება. და თუ გყავს ისეთი მეგობარი, რომელიც ბევრს გაცინებს, მეტი დრო გაატარე მასთან.

6. ცრემლებიც იქნება. იგლოვე, გამაგრდი და გააგრძელე ცხოვრება. ერთადერთი ადამიანი, რომელიც შენთან ერთად დარჩება მთელი ცხოვრება — ეს თავად შენ ხარ. იცხოვრე, მანამ ცოცხალი ხარ.

7. გარშემო შემოიკრიბე ყოველივე ის, რაც გიყვარს. იქნება ეს ოჯახი, ცხოველები, მცენარეები, ჰობი თუ სხვა რამ.

8. შენი სახლი — შენი თავშესაფარია. გაუფრთხილდი მას!

9. გაუფრთხილდი შენს ჯანმრთელობას. თუ კარგია - შეინარჩუნე, თუ მერყევი — მიმართე დახმარებას.

10. ნუ დაბრუნდები იქ, სადაც დამნაშავედ გრძნობდი თავს. იარე მაღაზიებში, სხვა ქვეყანაშიც კი წადი, ოღონდ არა იქ, სადაც ოდესღაც სინდისი გქენჯნიდა.

11. უთხარი საყვარელ ადამიანებს, თუ როგორ გიყვარს ისინი და გამოიყენე ნებისმიერი მომენტი, რომ იყო მათთან ერთად.

ულოცავენ!

დათო ლატარიას!
თიკო ნიკურაძეს!

გილოცავთ პირველი ქალიშვილის მარიამის დაბადებას. ეგ ერთი და სხვა მრავალი.

სიყვარულით
ნათელა პაპიდა ოჯახით.

ზეინაბ ნატროშვილს!
ქეთევან არაბულს!

ჩვენო ძვირფასო ზეინაბ და ქეთევან, დაბადების დღეს გილოცავთ ორივეს ერთად, რადგან ორივე ერთ თვეს და ერთ რიცხვში ხართ დაბადებულები, ამიტომ უფლება არ მაქვს დაგაშოროთ, ორივეს გისურვებთ ჯანმრთელ სიცოცხლეს შვილებთან, შვილიშვილებთან, შვილთაშვილებთან და შვიდეულთან ერთად. იხარეთ და იბედნიერეთ.

„ვიცით, ამზადებთ ჰურ-მარილს,
გულით და სიხარულებით,
მეტი რა უნდა შვიდეულს,
უკლებლად გამოვცხადდებით.“

თქვენი მეგობარი „შვიდეული“.

ბექა გონაშვილს!
ნინო ბახტაძეს!

გულწრფელად გვიხარია თქვენი ოცნების ასრულება-ვაჟიშვილის დაბადება. ჯანმრთელი, გონიერი და ღონიერი ვაჟკაცი გაზრდილიყოს პაპის მოსახელე პატარა ბაჩუკი. ბედნიერი მშობლები იყავით, ბედნიერ პაპა-ბებიაობას ვუსურვებთ ბაჩუკი გონაშვილს და ლია კობაიძეს. თქვენც მათ კვალზე წასულიყავით. ეგ ერთი და სხვა მრავალი. უფლის წყალობა არ მოაკლდეს თქვენს დიდ ოჯახს.

პატივისცემით,
გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები.

ანი მილაშვილს!
ბექა ჯანიაშვილს!

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ ქართული ტრადიციული ოჯახის შექმნას. აკვანთა სიმრავლეს. დღევანდელი სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე სიბერემდე გაგყოლოდეთ. უფალი იყოს თქვენი მფარველი ამ გზაზე სიარულის დროს.

პატივისცემით:
ნინო, ლევანი და ნიკო ფიროსმანაშვილები.

მარინა ღვინიაშვილს!
გენადი შიოლაშვილს!

გილოცავთ მესამე შვილიშვილის- ალექსანდრეს დაბადებას. პატარას ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ ბავშვობას, ლამაზ მომავალს- თქვენი ოჯახის კარგი მემკვიდრე და გვარის ღირსეული გამგრძელებელი გაზრდილიყოს!

პატივისცემით,
ი.ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის სახელით: ვანო ნატროშვილი, ხათუნა აგლაძე, ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, მარინა ხარაშვილი, ნინო ფიროსმანაშვილი, ელენე გაიაშვილი, ქეთინო ნოზაძე, კახა ჯალიაშვილი.

ლია კობაიძეს!
ბაჩუკი გონაშვილს!

სულითა და გულით გილოცავთ პირველი შვილიშვილის ბაჩუკის დაბადებას.

მის ახალგაზრდა მშობლებს ნინოს და ბექას ვუსურვებთ ისეთი ღირსეული შვილი აღეზარდოთ, როგორც თავად თქვენი შვილები ბექა, ნათია, ბიძინა და ნატალი არიან. მოხიბლული ვართ მათი ინტელექტით.

კვლავაც მრავალ ლამაზ და ბედნიერ დღეს გისურვებთ, ჩვენო ძირფასებო!

უღრმესი პატივისცემით
ი. ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის სახელით: ვანო ნატროშვილი, ხათუნა აგლაძე, მარინა ხარაშვილი, ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ქეთინო ნოზაძე, კახა ჯალიაშვილი და სხვები.

ქეთინო ჯალიაშვილს!
ოლიკო ათანელიშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს. იყავით ჯანმრთელები და ბედნიერები თქვენს საყვარელ ოჯახებთან ერთად. გიცოცხლოთ და გაგიმრავლოთ შვილები და შვილიშვილები. შვითაშვილებით აგავსოთ უფალმა და წყალობა არ მოგაკლოთ ყველა სასიკეთო საქმეში.

პატივისცემით,
ქ.დედოფლისწყაროს №3 საბავშვო ბაღა-ბაღის თანამშრომლები.

ზეინაბ ნატროშვილს!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო, გლოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს, გამრავლებას და გახარებას შენს ლამაზ შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად. შენ ძალიან დიდი გული გაქვს, რომელსაც თანაბრად უნაწილებ როგორც შენი ოჯახის წევრებს, ასევე ყველა შენს გარშემო მყოფ ადამიანს. შენ ჩვენთვის ძალიან ძვირფასი ხარ.

პატივისცემით „შვიდეული“

ყურადღება!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი აგრძელებს ინტელექტუალური თამაშის -რა? სად? როდის? 2015 წლის შემოდგომა-ზამთრის ჩემპიონატს. მორიგი ტური გაიმართება 27 აგვისტოს, 18 საათზე. მის: კოსტავას ქ.№3,

☎ 595 090513

სპორტისა ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ადმინისტრაცია.

ვაკეთებ სადღესასწაულო და საქორწინო მაკიაჟს მაღალ პროფესიულ დონეზე. მსურველები დაგვიკავშირდით:

☎ 558 511951

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება აგურის კაპიტალური ბინა ბელეტაჟზე, 6 ოთახი აბაზანით და სამზარეულოთი, საცხოვრებელი ფართი 136კვმ, გარაჟით, სარდაფით, სამეურნეო ნაგებობებით, ბაღით, ტალავერით. საერთო ფართობი 1269 კვმ-ია. ფასი შეთანხმებით.
მისამართი: 9 ძმის ქუჩა, III-ე შესახვევი N5. დარეკეთ:

☎ 577 22 32 19. იკითხეთ ლევან იაკობიშვილი.

იყიდება ალუმინის 2,5 ტონიანი ქარხნული ავზი საკვები სითხეებისათვის და 5 ტონიანი რკინის ავზი წყლისათვის.

☎ 593 30 83 96.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 24.08	სამშაბათი 25.08	ოთხშაბათი 26.08	ხუთშაბათი 27.08	პარასკევი 28.08	შაბათი 29.08	კვირა 30.08
დღე	23 °	23 °	20 °	22 °	23 °	21 °	20 °
ღამე	20 °	20 °	17 °	18 °	19 °	18 °	17 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.